

საქართველო - ყწირველეს ყოვლისა!  
გელაქტიონი

# ახალგორი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9(113)  
სექტემბერი  
2023 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

## გილოცავთ „ერისთავობას“ — გმირ ქართველ გამუღიშებელთა ხსენების დღეს!

დღეს, დროებით ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, საქართველოს გარეთ — დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ და წეროვნის, ფრეზეთის, წილკნის დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ჩვენებურებს, სრულიად საქართველოს გილოცავთ ქსნისხეობელთა უპირველეს და საამაყო დღესასწაულს — ერისთავობას!

იშვიათია ისეთი კუთხე და მხარე, საიდანაც საქართველოს მანათობელი დედოფალი და მამულისა და ქრისტიანობისთვის თავდადებული, წმინდანებად შერაცხული სამი მნათობი ჰყავს. ჩვენი საამაყო და იდენტობა ჩვენი წინაპრებიდან მოდის, თავგანწირულთა სისხლით გადანიღებული ქსნიდან მოდის, ბიძა-ძმისწულის — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების საქართველოს თავისუფლებისათვის დასამარებელი, მაგრამ უკვდავი გულიდან და სახელიდან მოდის... ქეთევან დედოფალიც ხომ ჩვენი დედამდინარის ხეობიდან — მუხრანიდან ბრძანდებოდა...

1 ოქტომბერს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა მონამეთა — ბიძინა ჩოლოყაშვილის და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა ხსენების დღეს აღნიშნავს, ახალგორელებმა კი, ამ დღისადმი მიძღვნილი „ერისთავობა“ დავაარსეთ, რომელიც ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა წლების მანძილზე.

წმიდა ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი XVII საუკუნეში აღესრულენენ მონამეობრივად. ამ ურთულეს საუკუნეში შაჰ-აბას I-მა და მისმა ძემ, შაჰ-აბას II-მ განსაკუთრებული სისასტიკით

დასასრული მე-2 გვერდზე

## ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ოქროსმეფალოვნებს დააჯილდოვებს

„სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“, — ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე. ამ სიბრძნეს არც დღევანდელ გლობალურ ეპოქაში დაუკარგავს აზრი, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა განათლების სისტემა, ზოგადად, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების პრინციპებიც და მეთოდებიც, მრავალი ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული საშუალებებით.

საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების ოქროს მედლით დაჯილდოება ახალგაზრდების ლამაზი, ღირსსახსოვარი მოვლენაა, რაც წლების მანძილზე სისტემატური შრომის, ძიების, მომზადების, მეცადინეობის და სწავლის, განათლების მიღების სურვილთან ასოცირდება.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის გელა შერმადინის ინიციატივით

დასასრული მე-2 გვ.-ზე

## მუსიკალური საღამო წარმართა

3



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2024 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეთა ხელფასის მატება იგეგმება, ამა წლის ოქტომბრიდან კი საბანკო სიტუაციის კოორდინაციისა და გადაუდებელი ღონისძიების ცენტრის თანამშრომელთა ხელფასი 10 %-ით გაიზარდება

4

## **გილოცავთ „პრისტაპობას“ – გმირ ქართველ მამულიწამლთა ხსენების დღეს!**

### **პირველი გვერდიდან**

ააოხრეს კახეთი. ათასობით ქართველს მშობლიური მიწიდან ყრიდნენ, სპარსეთში მიერეკებოდნენ და მათ ნაცვლად სპარსელებს ასახლებდნენ.

სწორედ ამგვარი გაჭირვების ჟამს, როცა თითქოს ცოდვა-მადლი არ განირჩეოდა, როცა ცეცხლის კალოდ ქცეული საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, უფალმა თავისი ერთგული მხედრობა გამოარჩია. ამ საუკუნეში შეუერთდნენ ზეციურ საქართველოს: წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, რომლის ხსენების დღედაც ახალი სტილით 26 სექტემბერია დანესებული, წმიდა მოწამე ლუარსაბ მეფე, წმიდა ექვსიათასი გარეჯელი ბერი და სხვა მრავალი წმინდანი, სამშობლოსათვის აღსრულებული. ამ საუკუნეშივე მოველინენ ჩვენს ქვეყანას ხსნად და იმედად კახეთის გმირები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

კახეთის მთავარმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის გათავისუფლება თათართაგან. მისი ჩანაფიქრი გაიზიარა არაგვის ერისთავმა ზაალმა და მცირერიცხოვანი, მაგრამ რჩეული მხედრობა დაახმარა, ხოლო ქსნის ერისთავებმა - ბიძა-ძმისწულმა - ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... უმთვარო ღამეს მთა გადაიარეს, ახმეტა ჩავლეს და მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს უზრუნველად დაბანაკებულ თათრებს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა, მიატოვა ცოლ-შვილი და სპარსეთს გაეშურა.

თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს...

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება. განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, ვახტანგს, სპარსთაგან შაჰ-ნავაზად წოდებულს, უბრძანა, ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გაეგზავნა.

კახეთის მხსნელი გმირები უდრტვინველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე. მათ იცოდნენ, რომ შაჰ-აბასისგან დანდობა არ ექნებოდათ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ დაყოვნება ქვეყანას ზიანს მოუტანდა.

ცბიერმა შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები, მაგრამ შემდეგ სიმდიდრისა და პატივის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. ბევრს ეცადა არდალანის სულთანს, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ ვერ მოხიბლა ქრისტეს ერთგული მსახურები. 1661 წელს შაჰის ბრძანებით წმიდანები სასტიკად აწამეს.

მრავალი წლის შემდეგ შალვას მეუღლემ, ქეთევანმა და მისმა ძემ, დავითმა სარწმუნო კაცები წარგზავნეს წმიდანთა ნეშტის ჩამოსასვენებლად.

ქართლში ჩამოსვენებულ წმიდა ნაწილებს მრავალი მორწმუნე შეეგება თაყვანისცემითა და ამბორისყოფით. კახეთის მხსნელი გმირები პატივით და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში.

ასეთია მოკლედ გამოცემული ისტორია თავდადებული ქართველი გმირებისა, შთამომავლობისაგან წმინდანებად შერაცხულთა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ გმირ ქართველ მამულიწამლთა ხსენების დღეს! ვისურვოთ, რომ ჩვენ წინაპართა გმირული სული არასდროს ჩამქრალიყოს საქართველოს შვილებში, ჩვენი სამშობლოს სადიდებად და საკეთილდღეოდ.

ბელა შერმალინი

**ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

## **ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ოქროსეფალოსნებს დააჯილდოვებს**

### **პირველი გვერდიდან**

ვით, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, სკოლის ოქროს მედლით კურსდამთავრებულებს გადაეცემა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი წამახალისებელი ჯილდოს მისაღებად სკოლის ოქროსმედალოს ნმა ატესტატის მფლობელმა ახალგორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილებაში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: ა) განცხადება ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე; ბ) საქართ-

ველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი; გ) საინფორმაციო ბარათი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან; დ) საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სრული ზოგადი განათლების ოქროსმედალოსნის ატესტატის ასლი; ე) ახალგორიდან იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილი) მოწმობის ასლი. ვ) განმცხადებლის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი გაცემული კანონით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, თუ წასახალისებელი პირი არასრულწლოვანია, განმცხადებელი/მშობელი/ან კანონიერი წარმომადგენელი/ გამგეობაში თავის სახელზე დამატებით წარმოადგენს პირადობის მოწმობის ასლს, წასახალისებელი პირის დაბადების მოწმობის ასლს, მშობლის ან წარმომადგენლის საბანკო ანგარიშს.

დაფინანსების თაობაზე ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული განცხადების განხილვა ხდება გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას წახალი-




ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი  
**რედაქტორი ანა ყურშავიშვილი**  
 კონტაქტი: ტელ: +995 593 501279  
 mail: gazeti.akhalkalaki@gmail.com



## მუსიკალური საღამო წარმართა

წეროვნის დეენილთა დასახლებაში, მთავრობის ად-  
მინისტრაციის ორგანიზებით, მუსიკალური საღამო  
გაიმართა. საღამო მუსიკალურად გააფორმეს სალომე  
თათარაშვილმა, სალი ცინცაძემ და ჯგუფმა „ორის  
ქონი“.

ლონისძიების ფარგლებში, 18:00 საათიდან 22:00  
საათამდე მრავალფეროვანი აქტივობები ჩატარდა. მათ  
შორის მოეწყო ადგილობრივ მენარმეთა პროდუქციის  
გამოფენა-გაყიდვა, კარნავალი, საბავშვო გასართობი,  
შემეცნებითი აქტივობები და გალა-კონცერტი.



ლონისძიებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელ-  
მწიფო რწმუნებულის მოადგილე გორა ქავთარაძე,  
ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გელა  
შერმადინთან, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ  
ბალაშვილი, დეპუტატი ჯონი ბაშარული და ადგილო-  
ბრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერ-  
თად დაესწრო.



სების მიზანშეწონილობის  
თაობაზე და დასკვნას ინდი-  
ვიდუალური ადმინისტრაცი-  
ულ-სამართლებრივი აქტის  
პროექტთან ერთად წარუდ-  
გენს გამგებელს.

დაფინანსების შესახებ  
გადაწყვეტილება მიიღე-  
ბა განცხადების რეგის-  
ტრაციიდან 10 კალენდარული  
დღის ვადაში, წარმოდგენილი  
დოკუმენტების წესთან შე-  
საბამისობის დადგენის სა-  
ფუძველზე. დადებითი გადა-  
წყვეტილების მიღებისას  
ახალგორის მუნიციპალიტე-  
ტის გამგებელი გამოსცემს  
ინდივიდუალურ ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივ  
აქტს, ხოლო დაფინანსებაზე  
უარის შემთხვევაში განმცხა-  
დებელს პასუხი ეგზავნება  
წერილობით.

დაფინანსება ხორციელ-  
დება ახალგორის მუნიცი-  
პალიტეტის ბიუჯეტით გათ-  
ვალისწინებული ასიგნებების  
ფარგლებში, უნაღდო ანგა-  
რიმსწორების ფორმით, თან-  
ხის წასახალისებელი პირის  
ან წარმომადგენლის/ მშობ-  
ლის ანგარიშზე ჩარიცხვით.

## დაინყო ახალი სასწავლო წელი

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაინყო წეროვნის № 3 და ახალ-  
დაბის საჯარო სკოლებში, ასევე, წეროვნის, ფრეზეთის და წილკნის საბავშვო  
ბაგა-ბაღებში.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, საკრებუ-  
ლოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი და მცხეთის საკრებულოს დეპუტატი  
წეროვნიდან ჯონი ბაშარული სასწავლო დაწესებულებებს ესტუმრნენ და ახა-  
ლი სასწავლო წელი მიულოცეს.



„გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველა მოსწავლეს, აღსაზრ-  
დელს, მშობელსა და მასწავლებელს. გისურვებთ მშვიდობიან და წარმატებულ  
წელს. განსაკუთრებით ვეფერებით და ვულოცავთ სასწავლო წლის დაწყებას  
პირველკლასელებს, რომლებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარს.

ვუსურვებთ, რომ ჩვენს სამშობლოს ღირსეული მამულიშვილობა გაუწიონ  
და არასოდეს დაივიწყონ „მამული, ენა, სარწმუნოება“. – განაცხადეს ადგილო-  
ბრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

## საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

2024 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის მატება იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, 2024 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის მატება იგეგმება.

„ხელფასი გაუზარდეთ ჩვენს პოლიციელებს, ჯარისკაცებს, ყველა საჯარო მოხელეს. პოლიციელებს და ჯარისკაცებს 40%-ით გაეზარდათ ჯამში. ეს პროცენტები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, იანვარში ყველა საჯარო მოხელეს გაეზარდება ხელფასი. ჯამში პოლიციელებს და ჯარს გამოუვა 50%-იანი ზრდა, ბოლო სამ წელიწადში და საჯარო მოხელეებს 30%-იანი ზრდა.

ჩვენ ასევე დავაფინანსებთ სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, იქნება ეს ინფრასტრუქტურა თუ სხვა სოციალური მიმართულებები, ჯანდაცვა. გაზრდილი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვები, რომლებიც გაიგზავნიან უმაღლესი დონის კლინიკებში“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

მისივე განმარტებით წლევიანდელი ბიუჯეტი 500 მილიონი ლარით გაიზარდება.

„იცი, რომ ჩვენ წლევიანდელი ბიუჯეტი დაგეგმეთ საკმაოდ კონსერვატიულად, ეს იყო 5% ეკონომიკურ ზრდაზე გათვლილი, მაგრამ სწორედ ჩვენი პოლიტიკის შედეგად და მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად, ჩვენ ვაკორექტირებთ ბიუჯეტს, შეგვაქვს ცვლილებები, 500 მილიონი ლარით გაიზარდება წლევიანდელი ბიუჯეტი. აქვე მინდა შევახსენო ყველას, რომ უკვე მესამე წელია ჩვენ დაგეგმილ ბიუჯეტს ვცვლით და ვზრდით. 2021-ში მოხდა ეს, ჩვენ ორჯერ გავზარდეთ ბიუჯეტი, ასევე შარშან, 2022 წელს და წელსაც 500-ზე მეტი მილიონი ლარით იზრდება ბიუჯეტი“, — თქვა ლარიბაშვილმა.

საბანკო სიტუაციის კორექტირება და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლების ხელფასის 10 %-ით გაზრდა

პირველი ოქტომბრიდან საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელთა ხელფასი 10 %-ით გაიზარდება.

გაზრდილ ხელფასს, 4 ათასამდე თანამშრომელი მიიღებს.

„სასწრაფოს ექიმის ხელფასი, თვეში, საშუალოდ, 8 მორიგეობის შემთხვევაში, 2184 ლარი გახდება, რეფერალის ექიმის - 2536 ლარი, პარამედიკოსის - 2184 ლარი, მოტომედიკოსის - 2184 ლარი, უმცროსი ექიმის - 1800 ლარი, ექთნის - 1664 ლარი, მძღოლის - 1520 ლარი, დისპეტჩერის - 1392 ლარი, პოსპიტალიზაციის მენეჯერის - 1648 ლარი, ცვლის უფროსის - 2560 ლარი, ცვლის უფროსის მოადგილის -2128 ლარი, ოპერატორის -1024 ლარი .

სახელფასო ანაზღაურება, 2024 წლიდან, დამატებით 10 %-ით, ისე გაიზარდება.

უკვე გაუმჯობესდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა“, — ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინფორმაციით, ცვლილებები თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და მათთვის, ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად.

ფინანსური დავალიანების მიზნით სტატუს-შეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნუღებათ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნუღებათ. გადანყვეტილება შეეხება 30 000-მდე სტუდენტს. დავალიანების ჯამური მოცულობა 40 მილიონამდე ლარია.

„ჩვენთვის, ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტების სწავლა-განათლება, უმაღლესი სასწავლებლების რეფორმა, რომელზეც ახალი მინისტრი მუშაობს აქტიურად. მინდა შევეხო ერთ პრობლემას, რომელიც ყველას აწუხებს, ეს არის ე.წ. სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხი, განათლების მინისტრისგან მოვისმინე დეტალური ინფორმაცია და დაახლოებით 30 ათასამდე სტუდენტს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო აქვს შეჩერებული. ამიტომ ჩემი გადაწყვეტილებით, ყველა ამ სტუდენტს, ვისაც შეჩერებული აქვს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, გაუნუღებათ დავალიანება. მათ შესაძლებლობა ექნებათ, სურვილის შემთხვევაში აღიდგინონ სტატუსი და გააგრძელონ სწავლა თავიანთ უნივერსიტეტებში... ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს მიეცეთ შესაძლებლობა, დავალიანების ჩამოწმის შემდეგ, გააგრძელონ სწავლა“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

სტიპენდიანთა რაოდენობა და სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ორმაგდება სტიპენდიანთა რაოდენობა და სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა.

განახლებული პროგრამის ფარგლებში, სასწავლო წლის 10 თვის განმავლობაში, ოქტომბრიდან-ივლისის ჩათვლით, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული სტუდენტები ყოველთვიურად 150 ლარის ნაცვლად მიიღებენ 300 ლარიან სტიპენდიას.

რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას, თუ აქამდე სტიპენდია გაიცემოდა საშუალოდ 2 500 სტუდენტზე, ახალი სასწავლო წლიდან გაზრდილ სტიპენდიას 5 000 წარმატებული სტუდენტი მიიღებს.

სიახლეა ისიც, რომ უნივერსიტეტი თავად აღარ დაადგენს სტიპენდიანთა შესარჩევ კრიტერიუმებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იხელმძღვანელებენ სტიპენდიანთა შესარჩევი საერთო კრიტერიუმებით, რომლებიც დამტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.





დასრულდა ანიმაციური ფილმების მე-11 საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“

„ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზი“ 2011 წელს დაარსდა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას, ინიციატივით, 2017 წელს კი „ევროპული ფესტივალების ასოციაციამ“ ნიქოზის ფესტივალს ხარისხის ნიშანი მიანიჭა და იგი ევროპული ფესტივალების ნაწილი გახდა.

წელს ფესტივალი 1 სექტემბერს დაიწყო და 7 სექტემბერს დაიხურა. მასში მონაწილეობდნენ „ოსკარის ნომინანტი“ რეჟისორები, არაერთი საერთაშორისო პრიზის მქონე, დამწყები თუ მოყვარული ანიმატორები, რომლებიც ამ ფესტივალმა გააერთიანა. სხვა ფესტივალებისგან განსხვავებით აქ არ არიან გამარჯვებული და დამარცხებული მონაწილეები, ფესტივალის ორგანიზატორების არჩევანი იყო, რომ ფესტივალს არ ჰქონოდა საკონკურსო ფორმატი. ნიქოზის ფესტივალზე პრიორიტეტი ენიჭება ძველი შედეგებისა თუ ახლად შექმნილი ფილმების ჩვენებას.

ფესტივალის გახსნის ღონისძიება ნიქოზის საკათედრო ტაძრის ეზოში გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს წმიდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა. ეპისკოპოსის რეზიდენციაში ქორეოგრაფიული და ვოკალური ნომრები წარმოადგინეს: წეროვანის დევილითა დასახლების მოსწავლეთა ანსამბლმა „მომავალი თაობამ“, ნიქოზის ხელოვნების სკოლასთან არსებულმა ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მ. დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეებმა (ნიქოზის ხელოვნების სკოლის ყოფილი მოსწავლეები).

გაიმართა დოკუმენტური ფილმის — „ნიქოზი 2008...“-ის ჩვენება, რომლის ავტორია მიტროპოლიტი ისაია. ფილმი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის ცხოვრებას ასახავს. ღონისძიებაზე ასევე წარმოადგინეს 2008 წლის ომის ამსახველი ფოტოგამოფენა. რეზიდენციის საგამოფენო დარბაზში სტუმრებმა დაათვალიერეს რეჟისორის, მხატვრისა და სცენარისტის, დათო სიხარულიძის, ნახატები. ფესტივალი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს ამერიკელი მეგობრებისა და საქართველოში გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.

მრავალფეროვან და საინტერესო საფესტივალო პროგრამაში იყო დამწყები და გამოცდილი რეჟისორების ანიმაციური ნამუშევრების ჩვენება, მუსიკალური



მინიატურები, მასტერკლასები და ფოტოგამოფენები. წლებიდან ფესტივალზე აჩვენეს 23 ქვეყნის, მათ შორის — საფრანგეთის, პორტუგალიის, იაპონიის, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი 100 რეჟისორის 125 ფილმი.

2008 წლამდე, ნიქოზიში მონასტერთან არსებული მცირე ზომის ანიმაციური ფილმების სტუდია მოქმედებდა, რომელიც აგვისტოს ომის დროს მონასტრის ნაგებობებთან ერთად განადგურდა. ომის შემდეგ, უცხოელი თუ ადგილობრივი გულშემატკივრების დახმარებით გაცოცხლდა ანიმაციური სტუდია და დაარსდა ხელოვნების სკოლა. ამ სკოლის გააქტიურების შემდეგ დაიბადა ფესტივალის დაარსების იდეაც.

გარდა იმისა, რომ „ანიმაციური ფილმების ფესტივალი ნიქოზი“ არის ანიმაციის პოპულარიზაციისა და განვითარების ადგილი, 2008 წლის ომის შემდეგ მას ამ რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება — იგი ნგრევის სანაცვლოდ, შენების, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და სიყვარულისკენ მოწოდებაა.

წელს ფესტივალის გახსნის საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდის ბავშვთა ხალხური საკრავების ანსამბლმა „მომავალი თაობა“. ღონისძიებას ესწრებოდნენ ახალგაზრდის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, რიგითი მოქალაქეები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ახალგაზრდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის მეუფე ისაიას იმ დიდ ღვაწლს, რომელსაც იგი 1995 წლიდან ეწევა.

საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი ნიქოზი გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტით ოვაციების ფონზე დასრულდა.

ახალი შესარჩევი კრიტერიუმები, აკადემიურ მიღწევებთან ერთად, მოიცავს სხვადასხვა სასწავლო სტუდენტურ აქტივობას, მათ შორის, საუნივერსიტეტო, ინტელექტუალურ, სამეცნიერო, შემოქმედებით-კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში ჩართულობას. ასევე, კრიტერიუმებში გათვალისწინებულია ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორებიცაა: სოციალურად დაუცველის სტატუსი (ოჯახის სარეიტინგო ქულით 70 000 და ნაკლები), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრობა (4 და მეტი შვილი) და სხვა.

## დაინყო ახალი პროექტი ბავშვთა ფეხბურთის მიმართულებით

ახალგორის მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის მიმართულებით ახალი პროექტი დაინყო. როგორც ცნობილია, „დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლები მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში გაიხსნება. პროექტის ფარგლებში, „დინამო თბილისის“ საფეხბურთო აკადემიის სავარჯიშო მეთოდოლოგია დაინერგება, ამასთან ერთად, გადამზადდებიან ადგილობრივი მწვრთნელები.

პროექტის ფარგლებში უკვე გაფორმდა მემორანდუმში, რომლის მიხედვით, ახალგორის მუნიციპალიტეტში დაფუძნდება „დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლა, რომელშიც განეწიანდებიან 6-დან 12 წლამდე ასაკის მოზარდები. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ნეროვანში არსებულ საფეხბურთო სკოლას.

პროექტის ფარგლებში, 16 სექტემბერს, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელ გელა შერმადინსა და „დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებს შორის გაიმართა შეხვედრა, რომელზეც



„დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ლევან გვანცელაძემ, პროექტის მენეჯერმა, გია ისიანმა და რეგიონალურმა კოორდინატორმა, პაატა მეტრეველმა პროექტის პრეზენტაცია წარადგინეს და აღნიშნეს, რომ პროექტი ითვალისწინებს საუკეთესო მოთამაშეების მოძიებას, მწვრთნელების გადამზადებას; რეგიონული ნაკრების გუნდის შექმნას, რეგიონული ტურნირების და ფესტივალების ორგანიზებას.

პროექტის მხარდამჭერი გახლავთ ონლაინ მაღაზია <https://isurve.ge/>.



## ნილკანში სპორტული და დასასვენებელი სივრცე მოეწყო

ნილკანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში, საბავშვო ბაღის მიმდებარედ, დასრულდა ახალი სკვერისა და სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელსაც მონიტორინგს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური უწევდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და სამუშაოები მცხეთის მერიის კონტრაქტორმა კომპანიებმა განახორციელეს.



აღნიშნული სპორტული და დასასვენებელი სივრცე ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით დაიგეგმა.

სპორტული მოედანი თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო და ფეხბურთისა და კალათბურთის მოყვარულებისთვის შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა. სივრცე ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის პოპულარიზაციას ემსახურება.

სკვერში კი, პროექტის შესაბამისად, მოეწყო ატრაქციონები ბავშვებისთვის. უსაფრთხოებისთვის

ატრაქციონებთან დაიგო კაუჩუკის ფილები, ხოლო ბილიკებზე კერამიკული ფილები. დამონტაჟდა მოსასვენებელი სკამები, დეკორატიული სანათები, ურნები და დაირგო ხე-მცენარეები. ტერიტორია შემოიღობა ლითონის კონსტრუქციით.

ერთ სივრცეში მოქცეული აღმზრდელობითი, სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურა უფრო მნიშვნელოვანი და კომფორტული იქნება, როგორც პატარებისათვის, ასევე, ახალგაზრდებისა და უფროსი თაობისთვის.



# დაცხრილული გზა

ანა ყორმანიძე

იბეჭდება შემოკლებით

## დასასრული. დასაწყისი „ახალგორი“ № 8, 2023 წელი

- კარგი, ჭამე, მერე მიამბე, დამშვიდდი, ჩემო კარგო.

- მართლა წამიყვან? ოსი რომ ვარ?

- ოსი კი არა, ვინც გინდა იყავი, წამიყვან. ჩემთან იქნები, ომიც დამთავრდება.

- უკვე დამთავრდა. აღარ ისმის გრუხუნის. აღარც მეხი ეცემა სახლებსა და ხეებს. ჩვენ სახლსაც მეხი დაეცა, წვიმდა და... ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, ისეთი... - გოგონა გაფთხდა.

- ნახე, აღარც წვიმს, აღარც ქუხს. გარეთ, იცი, რა ლამაზი მზეა? ბრდღვიალა. ცოტა მომჯობინდი და დაგანახებ.

- მე არცერთი სიტყვა არ ვიცი ოსური. ჭექა-ქუხილი რო იყო, ჩვენი სახლი სუ ზანზარებდა. დედაჩემმა ხელში ამიყვანა და გარეთ გავარდა. ბაბოც. გზაზე ტანკები იდგა. აგე... იქა, ზედ ჩვენ ეზოსთან. ერთმა კაცმა თოფი მოგვიშვირა, არა, თოფი კი არა, ავტომატი. რაღაც დაგვიძახა. ქართულად არა. ბაბო მომვარდა, გულში ჩამიკრა... დედაჩემსაც ხელი მოხვია, რაღაცას ეხვეწებოდა ავტომატიანებს, თან ტიროდა. ბაბომ ოსურიც იცოდა, რუსულიც. იმათაც რაღაც ენაზე დაუღრიალეს.

ანას ნიკაპი აუთრთოლდა. ხმა გაეზარა. ისედაც მარცვლავდა სიტყვებს. სუსტი მკლავები ქალს შემოხვია და ატირდა.

- აესე ჩამიხუტა ბაბომ. მერე იმ კაცებმა სუ ძალით გააშვებინეს. გადაუგრიხეს ხელები. მამაჩემის სახელს ამბობდნენ. ბაბო მუხლებზე შემოეხვია. ძალიან შემეშინდა. მერე ხელი მომიკიდა ერთმა კაცმა, კაბა გამიხია, ტანზე მიმიხუტა და სახლისაკენ გამომაქცია. არ მოვყვებოდი, დედა, დედა-მეთქი, ვეძახდი.

- ნულარ იხსენებ.. აქედან რო წავალთ, მერე მიამბე... დანყნარდი... გამაგრდი... გაჩუმდი, როგორმე ჭამე...

- ეს კაცი, მე რომ სახლისკენ მიმარბენინებდა, უცებ ძირს დავარდა. შევხედე და სისხლი გამოსდიოდა. ვაიმე, მოკლეს-მეთქი, გავიფიქრე. ძალიან შემეშინდა. სულ მაკანკალებდა. უკან მოვიხედე, ვედარაფერი გავარჩიე.. ერთმა ჩემვენ გამოიშვირა თოფი, თოფი კი არა, ავტომატი, მეორე გამომხტა და გადამეფარა, წინ დამიდგა, თან ღრიალებდა.

კარგად აღარ მახსოვს. სროლა ატყდა. მე ხეზე ავცოცდი. მე რო გადამეფარა, ის კაცი იქა წევს დაჭრილი. ვერაფერს უშველი? წამოდი, ვნახოთ. ჩემი გადარჩენა უნდოდა. ხეზე ვიჯექი და ვუცქეროდი, ყველანი რო წავიდნენ. ის დატოვეს. სისხლი მოსდიოდა. ხელები გაშლილი ჰქონდა. ჩამოსვლა მინდოდა, მაგრამ მეშინოდა, სხვები არ მობრუნებულიყვნენ. თვალები არ დახუჭა, მიხაროდა, ცოცხალია-მეთქი, რო მომკვდარიყო, ხო დახუჭავდა...

მერე სხვა სახლებსაც ეცემოდა მეხი. ხალხი გარბოდა. ხის ტოტს ჩავეხუტე. მერე ერთ ტოტზე ჩამოვჯექი, მამამ პატარა ფიცარი დამიკრა ადრე, ზურგით

ხეს მივეყუდე, თვალები დავხუჭე. ადრეც მიყვარდა იქ ჯდომა, თვალებდახუჭულს, თოჯინებიც ამყავდა ხოლმე, პატარა სახლივით მქონდა...

თვალები რო გავახილე, აღარავინ იყო, არც დედა, არც ბაბო, აღარც სხვა ხალხი. ხიდან ჩამოვედი, ვიფიქრე, სახლში შევალ და დაჭრილს წყალს გამოვუტან-მეთქი, ერთ კინოში ვუყურე, როგორ ასმევდნენ წყალს დაჭრილს და გადაარჩინეს.

სახლში ყველაფერი არეული დამხვდა, აი, ესეთი. ფეხების გადადგმის თავი აღარ მქონდა. მციოდა, სუ მძაგდაგებდა. ყველაფერი ზედ დავიფარე, ან ეხლა მობრუნდებიან დედა და ბაბო, ან ეხლა-მეთქი. გეხვენები, გახედე დაჭრილს, არ მოკვდეს, მე გადამარჩინა. ანამ თავი ჩაქინდრა, სუნთქვას მოუხშირა.

- რომელ კლასში ხარ, ანა.

- რა დროს ეგ არის. აქ არ დამტოვო, გეხვენები... მეოთხეში გადავედი...

ანას ბაბო შავ ტანსაცმელს ატარებდა სულ, ანამ უთხრა. ქალმა მოძებნა შავი ქვედა ბოლო, თავშალი. ბოლოკაბა ანას ჩააცვა, უფრო სწორად, მხრებთან დაუმაგრა. თავშალი შუბლზე, წარბებამდე ჩამოუნია, ორი კუთხე მხრებზე გადაუშალა, საფეთქლებიდან კუთხურად შეუკეცა და ნიკაპთან გადაუჯვარედინა. თავისი ფეხსაცმელები ჩააცვა. თვითონ რაღაც ძველები იპოვა და მოირგო...

თენდებოდა. წამოსასვლელად ემზადებოდნენ. ქალმა გარეთ გაიხედა.

ეზოს კართან, დაცხრილულ ადიელას მზის სხივები დაადგა.

- ცოტა ხანს აქ იჯექი. ეს ხატი გქონდეს. ერთი ვაშლი შეჭამე. გარეთ ნუ გამოხვალ. მე გავალ, გზას დავათვალიერებ. - უთხრა გოგონას და კარში გავიდა.

...ტარგადატეხილ ბარს დასტაცა ხელი და ეზოში ჩავიდა. მინა რბილი და მსუბუქი ეჩვენა. თხრა დაინყო... შუბლიდან ოფლი ჩამოსდიოდა... „ცოტაც... უნდა გავძლო“...

მიცვალებული ფრთხილად გააცურა, ძლივს ერეოდა. ჩაანვინა. დაცხრილული ადიელა გადააფარა. „უბედური დედაშენი“... ცრემლები წამოსცვივდა. ადიელა შეუსწორა. ნაპირებზე ჩაუკეცა. თითქოს რაღაც გაახსენდა. ჯიბიდან პასპორტი ამოაცალა. სამარის გვერდზე დადო, ავტომატის გვერდით. ფრთხილად აყრიდა მინას. მერე ფოთლებიც მოაგროვა და წააყარა.

...ავტომატი კედლის შიგნით მიაყუდა. გულს უკანარავდა ოცი წლის ბიჭის სახელი და გვარი - ვოვა სიტნიკოვი... ჩამოჯდა...

- ცარიელია გზა? - სიხარული დაეტყო ხმაში ანას.

- კი.

- მაშ წავიდეთ... მართლა მიგყავარ?.. აქ რად მოხვედი, ჩემ წასაყვანად? ყველაფერს დაგიჯერებ... - მხარზე მიეკრო უსასოოდ ჩამომჯდარ ქალს.

- დედის საფლავზე მივდიოდი ერედვში...

- რაზე ფიქრობ, უნდა დამტოვო?.. აკი, მონაზვნის კაბა იმიტომ ჩაგაცვი, გაგვატარებნო. გეხვენები, მართლა წამიყვანე, იცი, რა კარგი გოგო ვარ? არასდროს გაგაბრახებ, სიმღერაც ვიცი, ცეკვაც, სახლის დალაგებაც. თუ დედას ვერ ვიპოვით... თუ ვერ ვიპოვით, მაშინ... მაშინ...

ანა ატირდა.

- ნუ ტირი, აუცილებლად ვიპოვით.

### დათო ახლოუჩის პოეზია



\*\*\*

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,  
ასჯერ გაცვეთილი სინანული,  
როგორ წაგვიხდა და გატილდა,  
მტერს რომ შევატოვეთ, ი მამული...  
აღარც ქარჩოსისკენ გავიხედეთ,  
ვეღარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.  
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,  
შენ თუ ახალგორჯი წამომყვები...

#### ჩვენ დახმადებით

#### ლექი დაწერილია ქსნის ხეობის დიალექტით

გულს ისევ მასწყურდა ხეტიალი,  
რა ვუყოთ, სალი კლდე როდია...  
ჩემს მთას ვუბრუნდები ბედნიარი,  
დღეს მამას სტუმრები მოზდიან.  
მიმინვევს: - პურობას შეეჩვევი,  
რამე გვითხარიო ამბავი..  
ხილაბანდს ნაიკრავს დეეჩემი,  
სავსეა ქვევრიც და ამბარიც.  
სტუმარი ღვთისაა, გვიხარია,  
ბავშვივით გული გვაქვს სამივეს,  
კარის მეზობლებიც იქ არიან,  
დილაამდე ჩარექებს დალივენ.  
მთაში სხვა წესი და ადათია,  
მის მაღლს  
ბავშვობიდან შევზდილვარ,  
სტუმრის ყველა ღამე შაბათია,  
წამაჩეხება ჭედილა.  
სუფრა ხატის კარზე გაიშლება,  
სხივი გადაუვლის ა იმ სერს,  
მთვარეს ჯიხვის რქაზე ვანიშნებ და  
ისიც სადღეგრძელოს შამივსებს...  
მერე ცხმორს და ოხირს ვინახულებ,  
იქნებ მონატრებას ვუშველო,  
თორემ უკვე დიდხანს ვიმარხულე,  
ჩემო ქსნის ხეობავ, უშენოდ..

\*\*\*

მთაში ვარ, ცხორ სერზე გავლაღე,  
არ ვჯავრობ, ვის სათიბ მოძოვენ...  
გზად მხედები, ქარ გიშლის დალაღებს,  
ვდიდგულობ, ჩემად ვთვლი ხოზოეთს...  
შენ მორცხვობ და ისევ ღრუბელობ, -  
მგლისფერო, არ გენახოს მამამო...  
რად მინდა აქ ცხენი უბელო,

არ ნავალ, ცრემლითაც დამნამო.  
ამალამ ნაბად აქ გავშალოთ,  
ფშაველი ნანლობას გასწავლი,  
წყაროთა ჩურჩულში ჩავშალოთ,  
მთის ქალო, შენი ორ ნანწავი  
და მერე, თუ გინდა, ვეახლოთ  
მას, ვისაც საქმე აქვს საშარო...  
არასდროს მყოლია მზე ახლოს,  
დღეს მყავს და არ დავთმობ, ქალშავო!

#### უახოთხელობე...

უქართველებოდ, ვიცი, ახლა  
ბრწყინვა გელევა,  
უქართველებოდ სულს გიყინავს  
მკაცრი ზამთარი.  
როდის გაგიტობნ ცივი გული  
ცხინვალელებმა?  
ვკითხულობ, მაგრამ მოპასუხე  
კაცი არ არის.  
სჩანს ეს ზამთარი ჯერაც კიდევ  
დიდხანს გაატანს,  
საქართველოში გაზაფხული  
წელს გვიან მოვა.  
უნდა მოვიდეს, თორემ  
ცოტნე, ლაშა, პაატა  
თავს მადგანან და ბობოქრობენ:  
დროაო, დროა.  
დროა ლტოლვილის თვალზეც  
შეშრეს დალილის ცრემლი  
და მაჩაბლიანთ სიამაყეს  
შევესნათ ხუნდები.  
დროა, ცხინვალი ცხინვალს ჰგავდეს,  
გრემს ჰგავდეს გრემი...  
ჩემო ცხინვალო,  
გჯეროდეს, რომ დაგიბრუნდებით.

\*\*\*

მიდიან ძველები, ახლებიც მიდიან,  
მშვიდობით დილაო,  
ღამეო, მშვიდობით...  
მიყვები ქუჩას და ისეთი მშვიდია,  
თითქოსდა წყალს მივდევთ  
წარღვნაში კიდობნით.  
ვინ ვართ ან რატომ ვართ -  
პასუხი სად არის?  
კითხვასაც არ გვაცდის  
ოხერი საწუთრო...  
სიცოცხლე გვტოვებს და  
სიკვდილი მზად არის  
მოვიდეს, გვიტიროს და  
დაგვისაკუთროს.

#### ყვითელი ფოთლები

ხანდახან რთული ვარ,  
ხანდახან მარტივი...  
შენ ჩემსას ვერაფერს გაიგებ...  
ყოველდღე იცვლება  
ამინდი მარტივით,  
რაც მქონდა, ღრუბლებმა წაიღეს...

ხან ფიქრი, ხან დარდი,  
ხან ნიჭი მოთმენის...  
ნოემბრად შემოვრჩი ამ ქუჩებს...  
ზედ გულზე მიყრება  
ყვითელი ფოთლები,  
მოდი და ამ გულსაც გაჩუქებ!

\*\*\*

როგორ ხარ დედოფალო? -  
გკითხულობ მორიდებით,  
არ ვიცი... რა გითხრაო, -  
ამბობ და გელიმება,  
უშენოდ სამყაროსთან  
რარიგად მოვრიგდები,  
უშენოდ ყველაფერი  
არაფრად ეღირება.  
მიყვარხარ, დედოფალო  
და თითქოს არაფერი,  
მე ყველას ვუყვარვარო, -  
იტყვი და „გაატარებ“...  
ლურჯთვალა კესანები,  
სხივებით დანაფერი  
ამ გულში გავზარდე და სულ უბით  
დავატარებ.  
იცოდი, დედოფალო? —  
მზეს შენი თვალები აქვს,  
შენ ღმერთის თვალები გაქვს,  
თბილი და უჩვეულო...  
ასეთი შორეული ჯერ არვინ  
მყვარებია,  
ძვირფასო ბეატრიჩე,  
ფერებას მიჩვეულო...  
უშენოდ სამყაროსთან,  
მე ვეღარ მოვრიგდები,  
უშენოდ ყველაფერი  
არაფრად ეღირება...  
მიყვარხარ დედოფალო, -  
ვჩურჩულებ მორიდებით,  
არ ვიცი, რა გითხრაო, -  
ამბობ და გელიმება...

\*\*\*

მე მზეს ავანთებ ერთხელ შენში  
მწველი ალებით  
და დაისამდე  
გვირილების ყანაში ვივლით...  
როგორ დაუშვებ,  
მონყენილი გქონდეს თვალები,  
გაგინვიმდეს და ბედისწერამ  
დაგარქვას ქვრივი.  
ღამეებს შევცვლი, სიყვარულო,,  
წვიმებსაც შევცვლი,  
დეკემბრის დღეებს ჩაგანაცვლებ  
ხორობლისფერ ივლისს...  
სულის საყდარში აგიშენებ  
ბუდეებს მერცხლის,  
შენი ღიმლილი  
მირკანივით იქნება თბილი...  
როგორ დაუშვებ, მონყენილი  
გქონდეს თვალები...



ვიტალი ქენჭაძე ახალი ნიგნი გამოცემა


გამოვიდა ისტორიკოს ვიტალი ქენჭაძის „ალევის ოქროსკარიანი ყოვლადწმიდა სამება“. ავტორი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში წერს: „სამარიანოდ გამოიცა კიდევ ერთი ნიგნი ქსნის ხეობის მდიდარ და ნაიარევიან წარსულზე, რომელიც ასახავს მე-8 საუკუნის ძეგლის, -ალევის ოქროსკარიანი ყოვლადწმიდა სამების ისტორიას, რაზეც თავის დროზე წერდა ცნობილი ისტორიკოსი სერგი მაკალათია: „ლეგენდა ალევის ეკლესიის ოქროს კარიანობაზე შეთხზულია...“

ვითომც პატივი გვცა „დიდმა“ მეცნიერმა ახალგორელებს, ქსნის ხეობაზე თავისი ნიგნის გამოცემით, სადაც ამ პატარა კიკნატელა ნიგნში ჩატია ქსნის ხეობის უზარმაზარი, უმდიდრესი ისტორია, და უფრო მეტიც, ალევის სამებას 5 სიტყვიანი ფრაზით მოხსნა ოქროს კარი! არა და გამოირკვა, რომ ქსნის ხეობის მფარველ წმ. სამებას ორჯერ ჰქონია სხვადასხვა დროს ოქროს კარი. ამაზე მეტი ბედოვლათობა ქართველისაგან რა გინდათ!!!

ნიგნი ეძღვნება ჩემი სკოლისდროინდელი მეგობრის იაგო გვრიტიშვილის ნათელ ხსოვნას. ეს იყო კაცი, რომელიც ძალიან დააკლდა მთელ ქსნის ხეობას. კაცი, რომლის სიკვდილმაც კიდევ უფრო გააღრმავა ჩვენში სულიერი კრიზისი.

მადლობა ყველას ვინც კი დახმარება გამიწია ნიგნზე მუშაობისას...

ასევე მადლიერება მინდა გამოვხატო ნიგნის გამოსაცემად ფინანსური მხარდაჭერისთვის, ქალბატონ მარიამ და ბატონ იაგო ჩორჩილბისადმი.“



„მამახის ქსანი“


ნორა მორბედაძე ახალგორის რაიონის სოფელ მორბედანიდან არის. ამჟამად იტალიაში ცხოვრობს, თუმცა შვებულებით ხშირად სტუმრობს მონატრებულ სამშობლოს. მისი ფიქრი, მუზის მჭევრმეტყველება ხშირად დასტრიალებს ქსანს, ახალგორს, საზღვრებშემოფლეთილ სამშობლოს... შორეულ იტალიაშიც არ ფერმკრთალდება მისი სოფლის გვერდით მოჩუხჩუხე მდინარის ხმა და ისევ სევდიანობს, ცრემლობს:

„ის სიყვარული ვინ წამართვა, ვინ გამიმეტა, იქ დარჩენილი ბავშვობა და სახლი ქსნის პირას...“

ნორა მორბედაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. ეს არაჩვეულებრივი ნიგნი, „მეძახის ქსანი“, რომელიც სავსეა პოეტური მარგალიტებით, მისი მეორე პოეტური კრებულია, რომელიც აკინძა საქართველოში შვებულებით ჩამოსულმა ემიგრანტმა პოეტმა და სწორედ თავის ბავშვობის საბუდარს და სრულიად საქართველოს მიუძღვნა.

ბამოლით!

გამოდით, ქართველნო, გამოდით, ვინა ვართ, რა ბედი გვედირსა, გამოდით შოთა და ზურაბი, გიორგი, ათასი მამისა! გამოდით, რას ზიხართ სახლებში, ვერ ხვდებით, - სიცოცხლე ერთია! გამოდით, დაამხეთ სიყალბე, თუ გნებავთ, გადადგით მთებია! გამოდით, ხომ უნდა



გადარჩეთ, გამოდით, თვალს გიხვლეთ „ემია!“, გახსოვდეთ, საიდან მოდიხართ, მამული შენია, ჩემია!

გვართმევენ, გვაქრობენ შვილებო, ისმინეთ წინაპრის ძახილი, გამოდით სიცოცხლე ერთია, შეწყვიტეთ აყრა და წუხილი! იჩქარეთ ალგეთის ლეკვებო, სამშობლო, ხომ თქვენი ღმერთია!!! 24.09.23. იტალია

მამახის ქსანი

მეძახდა ქსანი შორეულში, რა უნდა ნეტავ?! ახლოს ვარ ახლა და მომესმა, ისევ მეძახის, ის სიყვარული ვინ წამართვა, ვინ გამიმეტა მონატრებული მისი ზეცის, ღრუბლების და ხის! ველთა სიჭრელე თვალებს მჭრიდა, პასტელის ფერთა, იქ დამრჩენია ბავშვობა და სახლი ქსნის პირას, იქა მყავს დედა, ძმა და მამა... ყველანი ერთად და საფიცარი ყველა იქ მყავს, ლომისის ძირას! ახლოს ვარ ისევ, ვერ მივდივარ, არ მაქვს უფლება, და ეს უფლება ვინ წამართვა, ღვთით მოვლენილსა?! თვალები ღურჯი, სავანეში რომ იძირება... იქ სიყვარული დამრჩენია, თავად ქსნის შვილსა!

მეძახდა ქსანი შორეულში, რა უნდა ნეტავ?! 14.08.2023. საქართველო

მარტია...

მარტი მარტია, - ხასიათი ისე მეცვლება, რომ სულში, ხშირად, უგზო-უკვლოდ ქრიან ქარები, არ ვიცი, კარგო, თუ მექნება კეთილი ნება და ილუზიებს თეთრ ღამეში გავუმკლავდები. მარტია, თურმე, ბედისწერა ჩემი ცხოვრების, მისი წყალობით დავამარცხე ნვიმა, ცრემლები, ვინ იცის, ასე გადახვეწილს, სად რა მომელის და ჩასაფრებულ სიყვარულსაც როგორ ვეცლები. თეთრი ყვავილი, სიცივეში, თოვლზე მოსული, სულს სიმარტოვე შერჩენია, ქაოსი მარტის, მოლოდინი ვარ - უსასრულო და მარტოსული, სხვის აივანზე შეყუჟული ჩიტივით რომ თრთის!

### ოთარ გელაშვილის სსოვნა

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ახალგორის და სრულიად საქართველოს საამაყო, ღირსეული პიროვნება, დიდი მეცნიერი, პედაგოგი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ /კობა/ გელაშვილი**, რომელსაც ძალიან უყვარდა ახალგორი და ახალგორელები, თავისი მშობლიური სოფელი იკოთი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელსაც მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება და ქვეყანას ღირსეული თაობები, აღიარებული მეცნიერები და სპეციალისტები აღუზარდა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები 160-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომშია თავმოყრილი. **ოთარ გელაშვილის** ღვაწლი სახელმწიფომ სათანადოდ დააფასა და 2005 წელს „წლის ინჟინრის“ წოდება მიანიჭა.

ოთარ გელაშვილი 1983-2001 წწ. იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 2002 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორი, 1995-2005 წლებში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტო ფაკულტეტის არასაბიუჯეტო სწავლების განყოფილების უფროსი. 2005 წელს ასრულებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. 2006-2007 წწ. იყო სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სატრანსპორტო დეპარტამენტის უფროსი. 2007-2016 წწ. – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის

დეკანი. 2016-2017 წწ. – დეკანის მოადგილე, 2017 წლიდან – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი. ამავე წლიდან გახდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრანსპორტის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი. 2018 წლიდან იყო სატრანსპორტო სისტემების სასწავლო-კვლევითი და საექსპერტო ცენტრის ხელმძღვანელი. 2007 წლიდან – სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ მთავარი რედაქტორი. 2004 წლიდან – სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტი“ სარედაქციო საბჭოს წევრი. 2007 წლიდან – საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „მექანიკის პრობლემები“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. 2008 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სას-



წავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი.

ოთარ გელაშვილის მიერ დამუშავებულია ავტომობილების სანავაგეოკონომიურობისა და ეკოლოგიურობის ამოღების ახალი მეცნიერული მიმართულება, რომლის შედეგები დაწერა სხვადასხვა რეგიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, და საქართველოს სხვადასხვა (შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“, ს/ს „თელასი“ და სხვა) სატრანსპორტო კომპანიებში.

ბატონი **ოთარი** იყო გულისხმიერი, კეთილშობილი, ჰუმანური ადამიანი, გარშემომყოფთა გულშემატკივარი და შემწე. მისი სახელი მარად უკვდავი იქნება მშობლიური ქსნის ხეობელების სსოვნაში.

### გიორგი სარაულია და მიშიკო გოლოვეის სახელობის საფეხპირთო ტურნირი წარმართა

„არდავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა...“ – ეს სიბრძნე გულის ფიცარზე გვანერია ქართველებს... სხვადასხვა დროს ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა თანაკლასელები – მიშიკო გოლოვეი და გიორგი ხარაული – სწავლაშიც და საზოგადოებრივ საქმეშიც წარჩინებულნი, სპორტისა და ხელოვნების მოყვარულები... გიორგიცა და მიშიკოც ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, თითქოს მზის სანახავად მოსულნი, მზესავით ნათელი, სუფთა, წრფელი ბიჭები... რა ზუსტად არის ნათქვამი: „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება

მნათობად“... წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მაგრამ მათი ხსოვნა მარადიულია... რამდენიმე წლის წინ მათმა კლასელებმა თამაზ ბალაშვილმა და ირაკლი პაპუნაშვილმა „გიორგი ხარაულის და მიშიკო გოლოვეის სახელობის საფეხპირთო ტურნირი“ დააწესეს მათი სახელების უკვდასყოფად და ტრადიციად აქციეს. გვესაუბრება თამაზ ბალაშვილი: „წელს ტურნირი წეროვნის დევნილთა დასახლებაში მდებარე მინი სტადიონზე გაიმართა და ძალიან დაძაბულად წარიმართა. ტურნირის მსაჯები იყვნენ

გრიგოლ მამამთავრიშვილი, ვია მიდელაშვილი, ვალერი თათარაშვილი, ბადრი გიგაური. ტურნირის ჩემპიონი გახდა გუნდი „ფეოლა“, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და 800 ლარი, ხოლო მეორე ადგილოსანი გუნდი 500 ლარით დაჯილდოვდა. ასევე დაჯილდოვდნენ: საუკეთესო მოთამაშე თორნიკე ბალხამიშვილი, რომელიც ჯონი ბაშარულმა დააჯილდოვა, საუკეთესო მეკარე თაზო ლოთიშვილი კი გელა შერმადინმა დააჯილდოვა ფულადი პრიზებით. მადლობა მათ მხარდაჭერისთვის.

დასასრული მე-12 გვერდზე



# შობა ყოვლადწმიდისა ღაღუფლისა ჩვენიცა ღვთისმშობლისა და მარკელის ქალწულისა მარიაშისა - ღვთისმშობლობა 8 (21) საქმეებარი

მართლმადიდებელი სამყარო 21 სექტემბერს ღვთისმშობლობას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას დღესასწაულობს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა სრულდება.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა — პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი.

ღვთისმშობელი ცოლ-ქმარს შვილი ხანდაზმულ ასაკში შეეძინათ. მათ აღთქმა დადეს, თუ ღმერთი შვილს მისცემდათ, ახალშობილს ტაძარში მსახურებისთვის უფალს მიუძღვნიდნენ. უფალმა იოაკიმესა და ანას ლოცვა-ვედრება შეისმინა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო ანას, რომ იგი მუცლად-იღებდა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საკუთარ სახლში სამი წელი იზრდებოდა.

მართალი იოაკიმე და ანა ეკლესიის მიერ “მშობლებად ღმრთისა” იწოდებიან, როგორც უფალ იესო ქრისტეს ხორციელნი წინაპარნი. მათ განსაკუთრებული მაღლი აქვთ ღვთისაგან — უშვილოებს შვილი

მიანიჭონ, შეწყვიტონ მინისძვრები და დააცხრონ ქარიშხლები.

ღვთისმშობელმა თავისი სინდისითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად“, ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთერთ საგალობელშია, „უბატისნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთი-



სას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუქვა, რომ მისი წილხვედრი მინა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

## დასხრილული კვა

### მე-7 გვერდიდან

ქალიც შავებში გამოენყო. შუბლზე ჩამონეული თავშალი საფეთქლებთან შეიკვცა, ნიკაპთან გადაიჯვარედინა.

პირჯვარი გადაინერეს და გზას დაადგენ.

„ბაღებზე ჩავალთ, უფრო არავის მოვხვდებით თვალში... იქნებ სასაზღვრო პიკეტსაც ავცდეთ“...

- დედაჩემს ხო მაპოვნინებ, ბაბოსაც?..

- აუცილებლად.

- მამაჩემს, ვიცი, ტყვია არ გაეკარება. იცი, რა მაგარია? რო მიდიოდა, ვაზიანი, თუ რა ჰქვია, იქ გამოიძახეს, დედას ეუბნებოდა, ნუ გეშინია, მე ტყვია არ გამეკარებაო, - აღარ ჩერდებოდა ანა.

„გზა ჭეშმარიტება შენ ხარ, ქრისტე, მოგზაური ანგელოსი ან მოუვლინე მხეველსა შენსა ანას მფარველად“ - ჩურჩულებდა ქალი.

- ლოცულობ?

- ხო. შენ იცი ლოცვა?

- „მამაო ჩვენო“ ვიცი, დედამ მასწავლა.

- ერთად ვილოცოთ.

- ომი რო დაიწყო, დედა და ბაბო ლოცვებს კითხულობდნენ. პატრიარქი გაგიგონია? ილია მეორე. იმის ლოცვებს კითხულობდნენ. საქართველო გაბრწყინდებო, ილია მეორემ იქადაგა, იცოდი?

ქალმა თავი დაუქნია. შიში ედგა გულში, ანა ედარდებოდა... რომ წაართვან... იქვე თავს მოვიკლავ, არაფრით არ დავთმობო, ფიქრობდა, ოხრავდა გულში, ღვთის საჩუქრად თვლიდა. დედის საფლავეზე წამოსულმა, დედის პატარა მოსახელე, პატარა სიცოცხლე იპოვა. არა, არ დათმობს, აღარ დაჰკარგავს.

- მალე გაბრწყინდება საქართველო? - მკლავზე ეწეოდა ქალს ანა, აქაოდა, რატომ არ მისმენო. მარჯვენა ხელით ღვთისმშობლის ხატი ჩაებლუჯა...

- გაბრწყინდება, აუცილებლად გაბრწყინდება...

\*\*\*

გადაბუგულ-გადამწვარი სახლების ორლობებში მიდიოდნენ, ხან ღობემორღვეულ ბალ-ბოსტნებზე იმოკლებდნენ გზას. ფეხები წვიმისაგან აფუებულ მინაში ეფლობოდათ, წვალობდნენ, მაინც არ ჩერდებოდნენ.

ჭურვებდაცემულ ნასახლარებს დაჩეხილ-გატრუსულ-დანახშირებული ვაშლის ჯუჯა ხეები ყრაულობდნენ მდუმარედ.

კიბეაყირავებული, კედლებამოშლილი სახლებიდან ჩუმზე ჩუმი გოდება ისმოდა. ერთი-ორჯერ ტანკის ხმაც გაიგონეს. ნანგრევებში ჩაიმაღლნენ, ამოისუნთქეს და გზა განაგრძეს.

ღვთისმშობლის ხატი და დაცხრილული მზის სხივები აცილებდათ სამშვიდობოსკენ.



### გიორგი სარაულია და მიუიკო გოლოვიჩი სახალგოზის საფეხბურთო ტურნირი წარმოვანში

მე-10 გვერდიდან

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მონაწილეს და მასურებელს, რომლებმაც ძალიან გაალამაზეს ტურნირი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ფინანსურად და მორალურად გვერდში გვიდგანან ყოველთვის: ავთო ყოჩიშვილს, ზაზა ჩიტაშვილს, გია ჩიტაშვილს, განსაკუთრებული მადლობა ბონდო ელოშვილს, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანა საპრიზო თანხის მობილიზებაში და მუდამ მხარში უდგას ამ ტურნირს. მადლობა ირაკლი პაპუნაშვილი და შალვა ხარაულს, რომელთა გარეშეც წარმუდგენელი იქნებოდა ამ ტურნირის არსებობა.“



### მუსიკალური საღამო წარმოვანში

